

ოქმი N1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული
საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის.

2020 წელი, 10 ივნისი
13.00-14.30 საათი
ქ.ოზურგეთი

თავმჯდომარეობდა: დ.დარჩია- საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საზოგადოებრივი დარბაზის წევრები: ლ. ხინთიბიძე, ი.პაპავა, ო.რევიშვილი, თ.დლონტი, კ.ცერცვაძე, თ.ტრაპაიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, გ.ღურჯუმელიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ დარბაზის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების სამუშაო ვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექო მამეშვილი

საკითხის განხილვის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საზოგადოებრივი დარბაზის წევრებს და მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან თანამშრომლობისათვის, შემდეგ სიტყვა გადასცა თანამომხსენებელს-ალ.მამეშვილს, რომელმაც მოკლედ ისაუბრა გეგმის შედგენისათვის გაწეულ მუშაობაზე, გეგმის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, აღნიშნა, რომ გეგმა მომზადდა რამდენიმე არსამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით და მის ძირითად მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტიმულირება. შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, საზოგადოებრივი დარბაზის წევრი ო.რევიშვილი დაინტერესდა-გეგმაში გათვალისწინებულია თუ არა ანასეულის გზის რეაბილიტაცია? განუმარტეს, რომ არაა გათვალისწინებული. საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაძამ განაცხადა- ამ გეგმიდან გამოდის რომ მუნიციპალიტეტს აქვს სამუშაო ვადიანი განვითარების ორი გეგმა, ხომ არ სჯობია ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტში ასახული

ინფრასტრუქტურული სამუშაოები დარჩეს თავისთვის და ამ გეგმაში აისახოს სხვა სამუშაოები?

საზოგადოებრივი დარბაზის წევრების ო.რევიშვილისა და ლ.ხინთიბიძის აზრით უმჯობესია გეგმის სათაურში ჩაიწეროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი გეგმა.

საზოგადოებრივი დარბაზის წევრმა თ.ღლონტმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია მუშაობს გურიის რეგიონის ეკონომიკური სტიმულირების საკითხებზე, მათ შორის აწარმოებს შრომითი ბაზრის კვლევას, ამიტომ კარგი იქნება თუ ამ გეგმიდან ამოიღებენ ამ საკითხს-განუმარტეს, რომ კვლევებს თავისი ფუნქციის შესაბამისად აწარმოებს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი განყოფილება, მასთან შეუძლიათ ითანამშრომლონ.

სხდომის თავმჯდომარის დ.დარჩიას წინადადებით, საზოგადოებრივი დარბაზის წევრები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ მომდევნო კვირის ორშაბათს საკრებულოში წარმოადგინენ წერილობით რეკომენდაციებსა და წინადადებებს, რომლებიც განიხილება და შესაძლებლობის შემთხვევაში აისახება გეგმაში, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება საკრებულოს სხდომას.

გადაწყვიტეს:

საზოგადოებრივი დარბაზის წევრებმა მომდევნო კვირის ორშაბათს, საკრებულოში წარმოადგინონ წერილობით რეკომენდაციები და წინადადებები გეგმაში გათვალისწინების მიზნით.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო